

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №

2022 წლის „ დეკემბერი  
ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21  
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21 დადგენილებაში (ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 04/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.132.016304) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.**

შემოღებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდეს მისი განაკვეთები სახეობების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

- „ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – 40 000 ლარი კვარტალში;
- ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – 4 000 ლარი კვარტალში;
- გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;
- დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე – 300 000 ლარი კვარტალში;
- ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის თითოეულ სალაროზე – 20 000 ლარი კვარტალში;
- ვ) თითოეული კლუბის მაგიდაზე – 14 000 ლარი კვარტალში.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

#### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

##### ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ზრდა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით.

##### ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები კერძოდ: მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“):

- თითოეულ სამორინეს მაგიდაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა განსაზღვრულია კვარტალში 20 000-დან 40 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 განისაზღვრება 40 000 ლარით, ნაცვლად არსებული 24 000 ლარისა.

- თითოეულ სათამაშო აპარატზე მოსაკრებლის განაკვეთი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კვარტალში 2 000-დან 4 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 4 000 ლარით, ნაცვლად არსებული 2 600 ლარისა.

- თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს საპრიზო ფონდის 10%. არსებული პროექტით ბათუმის ტერიტორიაზეც აღნიშნული ოდენობით არის განსაზღვრული მოსაკრებლის განაკვეთი.

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობით კვარტალში განსაზღვრულია 250 000 -დან 300 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 300 000 ლარით, ნაცვლად არსებული 250 000 ლარისა.

- აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის განაკვეთია კვარტალში განსაზღვრული 1500 - დან 20 000 ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი 2023 წლიდან განისაზღვრება 20 000 ლარით, ნაცვლად 6000 ლარისა.

- თითოეულ კლუბის მაგიდაზე მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში განსაზღვრულია 4 000-დან 14 000-ლარის ჩათვლით. პროექტის მიხედვით ქ. ბათუმში მოსაკრებელი განისაზღვრა 14 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 6000 ლარისა.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას;

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები საშუალოდ (2022 წლის მესამე კვარტლის მონაცემების მიხედვით) კვარტალში გაიზრდება 4,3 მილიონი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილი პროექტით იზრდება სათამაშო ბიზნესის სფეროში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების ოდენობა, რაც შესაბამისად აისახება აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობი პირების ფინანსურ შედეგებზე;

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**ე) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური;

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი